



# საბჭოთა ოლიმპიური გუნდის აქტივის შემაჯავებელი: ოქროს 1, ვერცხლის 2 მედალი


გერმანიის  
განმანათლებლები

## უინული მედიანა

საბჭო, 7 თებერვალი. სსრ კავშირისა და შვედეთის ჰოკეისტთა ნაკრებები გუნდების მატჩი უაღრესად მწვერვალ ბრძოლით აღინიშნა. ორი ჰერიოლის შემდეგ დაწინაურდა საბჭოთა გუნდი (1:0, 1:0), მაგრამ მესამე პერიოდში შვედებმა შექმლეს გამარჯვება (3:1) და საბჭოთა გუნდი თამაში ფრედ დასრულდა — 3:3.


შაბები გაიტანეს: საბჭოთა სპორტსმენებთან — ხარლამოვა (2) და ფირსოვა, შვედებისგან — პალმკვისტა, ჰამარსტრემა და ვიკსტრემა.

2 ქულა დაკარგა ოლიმპიური ტურნირის ერთ-ერთმა ფავორიტმა — ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა, რომელმაც ამერიკულ ჰოკეისტებთან წააგო — 1:5. უსუსტად ასეთივე ანგარიშით დამარცხდა ჩეხოსლოვაკელითა გუნდი ამერიკის ნაკრებთან პარშანდელ მსოფლიო ჩემპიონატში (შვეიცარია). და მაინც, დღევანდელი შედეგი მოულოდნელი იყო. შაბები გაიტანეს: აშშ-ს ნაკრებიდან — ხრისტიანსენმა (მე-17 წუთზე), აპერნმა (30), სარნერმა (33), სენდერსმა (40) და ნესლანდმა (54); ჩეხოსლოვაკელთაგან — ნოვიკმა (5).



## პოკეისტთა ტურნირის განრიგი

- ოლიმპიადის მიასპარეზე ჰოკეისტებს 6 თებერვალს დასვენების დღე ჰქონდათ. მოგვიყავს „ა“ კლასის გუნდების განრიგი:
- 8 თებერვალი. ჩეხოსლოვაკია — ფინეთი.
- 9 თებერვალი. შვედია — პოლონეთი, სსრ კავშირი — აშშ.
- 10 თებერვალი. სსრ კავშირი — პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია — შვედია, აშშ — ფინეთი.
- 11 თებერვალი. დასვენების დღე.
- 12 თებერვალი. აშშ — პოლონეთი.
- 13 თებერვალი. შვედია — ფინეთი, სსრ კავშირი — ჩეხოსლოვაკია.



სურათზე: სსრ კავშირისა და ფინეთის ჰოკეისტთა მატჩი. ვ. ბუდანის ტელეფოტო. (საქელსის სპეც. კორ.).

## მურატოვი კაყოფილის არის და უკაყოფილოც

პროლეტარებო ყველა ძველსა, შეასრულით



№ 27  
(4537)

1972 წ.  
თებერვალი,  
სამუშაოთი.  
შაბი 8 კაა.

საბ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროლეტარებთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო  
**ლელო** Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის  
1984 წლის  
18 აპრილიდან

# ოლიმპიადა, დღე მეოთხე

## ოქროს ვერცხლი და IV ადგილი

6 თებერვლის მზიან დღეს საბჭოს თოვლიან ტრასაზე ორი ძვირფასი ნადავლი იგდეს ხელთ საბჭოთა მოთხილამურე ქალებმა: ზამთრის XI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ოქროს მედალი 10 კმ-ზე რბოლაში დასაკურთხა 29 წლის იევესკელმა მასკაველევამა გ. კულაკოვამ, ვერცხლისა — მისმა თანატომმა და კოლეგამ, გორკელმა ა. ოლიუნიამ. კულაკოვამ თავისი უცულობელი უპირატესობა შედეგითაც დაამტკიცა — 34,17,82. მან თანაგუნდელს 36,29 წამი მოუგო.

ბრანჯაოს მედალი ფინელ ჩემპიონს მ. კაოსმაას სედა — 34,56,45. საბჭოთა გუნდს ჩასათვლედი ქალები მოუტანა ოლიმპიადის დებიუტანტმა, აპატიტელმა ლ. მუსაჩოვამაც — 34,58,56. იგი გამოცდილ ფინელ სპორტსმენს სულ ოდნავ ჩამორჩა და საბატიო IV ადგილი დაიკავა.

მე პირად წარმატებაზე არც ვფიქრობდი რბოლის წინ, — თქვა ფინიშის შემდეგ კულაკოვამ. — მიხედავდა, რომ ოქროს მედალი საბჭოთა მოთხილამურეს დარჩებოდა, როგორც ხედავთ, მიზანს მივაღწიეთ. ოლიმპიურ გრენობლში წარმატებლობის შემდეგ საბჭოთა მოთხილამურე ქალების პოზიციები საგრძობლად შეირყა. მაგრამ ორი წლის მერე მსოფლიო ჩემპიონატში კულაკოვამ, ოლიუნიამ და მათმა თანაგუნდელმა დაიბრუნეს პირველი სათხილამურო გუნდის წოდება. და აი, დღეს ეს წარმატება ორმაგი გამარჯვებით განმტკიცდა. ასლა საბჭოთა მოთხილამურე ქალთა ანგარიშზე უკვე ოქროს 2 და ვერცხლის 1 მედალი მოდის.



გ. კულაკოვა



ა. ოლიუნიანა

ისინი დარბაზში ოსტენდენ, სადაც ინტერვიუ უნდა შემდგარიყო. სპორტსმენებმა ის-ის იყო ჩამოადგეს ფეხი საბატიო კვარცხლბეგიდან, რომელსაც დროდადრო შემოაგორებენ სტუმრთა მაკომასის ყინულოვან ბილიკზე. აქ, ახლოდან, სულ სხვაგვარად იყვენ — ახოვანი, მხარბეგნიანი, გრძელი, დაკუნთული ფეხებით. ტრიბუნებიდან ასე არ ჩანს ხოლმე. ისინი უხედავად, გულახდილად იძლეოდნენ პასუხს შეკითხვებზე. სასიამოვნოა ასეთი ლინიური ბიჭების ცქერა, მით უმეტეს, როცა იცი, რომ ოლიმპიადის ყველაზე სწრაფი მოციგურავეები არიან.

## მთელი სიმდიდრე — იაკონელებს

ზამთრის ოლიმპიადების ისტორიის მანძილზე იაპონელებს მხოლოდ ერთი მედალი ჰქონდათ მოპოვებული. ეს ჯილდო დასაკურთხა სამოთხილამურე იგაიამ, რომელიც კორტინა ლამპეკოში ფინიშთან მუორე მიიჭრა. 6 თებერვალს კი საბჭოთა იაპონელმა მსტომელმა ნამდვილი სიხარული განაცდევინეს თითქმის 100 ათას მაყურებელს, რომლებიც მიიანოროს 70-მეტრიანი ტრამპლინის მისაღობებთან იყვნენ თავმოყრილი. მათ ერთბაშად 3 მედალი მოიხვეჭეს, განმარჯვა, როგორც ფიქრობდნენ კიდევ, ი. კასაიამ, რომელიც წლეგანდელ სეზონში საუკეთესო ფორმაშია — 244,2 ქულა. დიდებული იყო მისი პირველი, ამ შეჯიბრებაში ყველაზე შორი ნახტომი — 84 მ. ვერცხლი და ბრინჯაო ხედავთ ა. კონოს და ს. აოტის. პრიზიორთა ექვსეული დასურა 20

წლის სამხედრო მოსამსახურე, ზაკოპანელმა (პოლონეთი) ვ. ფორტუნამ. ბოლო მომენტამდე საბჭოთა მის წაყვანას არც აპირებდნენ, მაგრამ მტრე მაინც ჩარიცხეს გუნდში გამოცდილებების შეაქენად. მას კი ექვსეულში ხედა ადგილი. აი, ასლა კი თამაშად შეიძლება ითქვას: ფორტუნას ფორტუნამ გაუღებია.

შეჯიბრების შემდეგ ნაბალკოვმა იაპონელ მსტომელს უთქვა: — მიიანოროს ტრამპლინი მათხოვს დიდ სიხარულს სტომის ტექნიკაში, საუცხოო გაწერაწილობას. აქ ყველაგვარი შემთხვევითობა პრაქტიკულად გამორიცხებულია, განსაკუთრებით მომწონა კასაია. ვფიქრობ, იგი დიდ ტრამპლინზე გაიწერებს ამ წარმატებას.  
3. ვაკოტოვი,  
ა. სტაროლუმი.  
(საქელსის სპეც. კორ.).  
საბჭო, 6 თებერვალი.

## ტექნიკური შედეგები

### 6 თებერვალი

სათხილამურო რბოლა 10 კმ-ზე.  
1. გალინა კულაკოვა — 34,17,82, 2. ალექტინა ოლიუნიანა (ორივე — სსრ კავშირი) — 34,54,11, 3. მარიატა კაოსმაა (ფინეთი) — 34,56,45, 4. ლ. მუსაჩოვა (სსრ კავშირი) — 34,58,56, 5. ხელენა ტაკალა (ფინეთი) — 35,06,34, 6. ასლუგ დალი (ნორვეგია) — 35,18,84... 10. ნინა შებალიანა (სსრ კავშირი) — 35,54,59.  
1500 მეტრზე ციგურებით სწრაფრბენა. ვაუბები.  
1. არდ სხენკი (პოლანდია) — 2,02,96 (ოლიმპიური რეკორდი), 2. რუარ გრიონსოლდი (ნორვეგია) — 2,04,26, 3. ერან კლასონი (შვედია) — 2,05,89, 4. ბიორნ ტვეტერი (ნორვეგია) — 2,05,94, 5. იან ბოლსი (პოლანდია) — 2,06,58, 6. ვალერი ლავრუშკინი — 2,07,16... 21. ვალერი მურატოვი (ორივე — სსრ კავშირი) — 2,11,83.


3. სეიი აოტი (სამივე — იაპონია) — 229,5 (83,5 და 77,5), 4. ინგოლფ მორკი (ნორვეგია) — 225,5 (78 და 78), 5. ირტი რამკა (ჩეხოსლოვაკია) — 224,8 (78,5 და 78), 6. ვიიკეს ფორტუნა (პოლონეთი) — 222,0 (82 და 76,5), 7-8. გარი ნაპალკოვი (სსრ კავშირი) — 222,2 (79,5 და 76) და კარელ კოლეწკა (ჩეხოსლოვაკია) — 222,2 (80 და 75,5), 9. კობა წაქაბე — 219,9 (77,5 და 77,5)... 20. იური კალიაინი — 211,6 (78,5 და 73,5), 21. ანატოლი ყველანოვი (ყველა — სსრ კავშირი) — 210,0 (73,5 და 75).

### 70-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომა.

1. იუკიო კასაია — 244,2 ქულა (ნახტომები — 84 და 79 მ), 2. აკიკუბუ კონო — 234,8 (82,5 და 79),

ფიგურული ციგურაობა. წყვილები. სავალდებულო პროგრამა.  
1. ირინა როდინა და ალექსეი ულანოვი — 104,5 ქულა (ადგილების ჯამი — 13), 2. ლიუდმილა სმირნოვა და ანდრეი სურაიკინი (ორივე წყვილი — სსრ კავშირი) — 104,4 (14), 3. მანუელა გროსი და უგე კაგელმანი (გერ) — 101,0 (34,5), 4. ალისია სტარბუკი და კენეტ შელი (აშშ) — 101,1 (37,5), 5. ალმუტ ლემანი და პეტრეტ ვიზინგერი (გერ) — 101,1 (41,5), 6. ირინა ჩერნოვა და ვასილი ბლაგოვი (სსრ კავშირი) — 97,9 (57).

საბოლოოდ ლინკოევის ფინიშის შემდეგ ვირწმუნე გამარჯვება. ორიოდე სიტყვა განმარტებისთვის: კელერი მესამე ყველაში მიდიოდა და მომავალი ვერცხლის პრიზიორის, შვედ პასე ბიორსის შედეგი ჰქონდა სამიხედ — 39,69 (0,29 წამით უარესი მაკომასის მისსავე რეკორდზე). ეს შედეგი შედემა პირველ სერიაში აჩვენა. კელერმა მას უსუსტად წამის მეოთხედი ჩამოაკლო — 39,44 (ახალი ოლიმპიური რეკორდი). მას კვალში მიჰყვა სსრ კავშირის ჩემპიონი, 25 წლის ვ. მურატოვი — 39,80. იგი უკმაყოფილო დარჩა, რაც ყურნალისტებთან შეხვედრის დროსაც ეტყობოდა.



# ო ლ ი მ ვ ი ა დ ე რ ი ე რ ი ა


## სივარდის ვარსკლავი

მოსკოვში 15-კილომეტრიან რბენაში — 46.00,84. ეს საბჭოთა სპორტის დიდი წარმატებაა, ვინაიდან 1956 წლის ოლიმპიური თამაშების (კორტინა დაპეცო) შემდეგ სსრ კავშირის წარმომადგენლებს ამ დისტანციაზე ოლიმპიური მედალი არ მოუპოვებიათ.

I ადგილი დაიკავა შვედმა ს.ო. ლუნდბეგმა — 45.28,24, 46-წუთიანი სდვარიდან გამოსვლა ასეთი რთული პროფილის ტრასაზე ასპარეზობისას ნამდვილი გმირობაა.

ბრინჯაოს მედალი დასაკურთხა ნორვეგიელმა ი. ფორმემ.

იუნიათა შორის ვერობის ორგზის ჩემპიონი ი. სკობოვი (სსრ კავშირი) V ადგილზე გავიდა.



ფ. სივარდის

## სხანაი — ყინულის ბილიკების მფრე

საბჭოთა სპორტსმენებმა თავიანთ გულშემატკივრებს სასიამოვნო სიურპრიზები შეთავაზეს მოციგურავეთა შეჯიბრების დაწყებისთანავე და დასკვნით დისტანციაზე — 10 ათას მეტრზე, პირველივე სერიაში გამოსულმა სსრ კავშირის ჩემპიონმა ვ. ლაფრუჟინმა 3,52 წამით აჯობა ოლიმპიურ რეკორდს და ერთბაშად 15,52 წამი ჩამოაკლო საკავშირო მიღწევას. მისი შედეგი — 15.20,08 — საერთო ჯამში მეხუთე აღმოჩნდა (კიდევ 2 ჩასათვლიელი ქულა მოუტანა გუნდს მოსკოვში 1500 მეტრზე მოპოვებული VI ადგილის შემდეგ).

ლაფრუჟინი შეუპოვრად ებრძოდა მსოფლიოს საუკეთესო მოციგურავეებს.

თითქმის სერიების ბოლომდე იგი მესამე იყო (კვალში მიჰყვებოდა 30 წლის ვეტერანს კ. ფურკერს — 15.04,70, და ს. სტენსენს — 15.07,08. ამ სპორტსმენებს სედათ ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალები).

ძლიერმა პოლანდიელმა მოციგურავემ ი. ბოლსმა, რომელმაც ბოლოსწინა წყვილში აიღო სტარტი, 2,09 წამით გაუსწრო ლაფრუჟინს. მეხუთე სტრტიონზე კი ის თავად სხენამა გადასწია, რომელიც ბოლო წყვილში მიდიოდა.

ტრიბუნები აღტაცებით გუგუნებდა, როცა ელექტროტაბლოზე სხენის მორიგი წრის შედეგები აღინიშნა (სხედა შორის, ეს ამგვარი შეჯიბრებებისთვის მეტისმეტად სასარგებლო სიახლეა). ტანადი, თითქმის 2 მეტრი სიმაღლის მოციგურავე ტორბელსაკით გაიჭრა ოლიმპიურ საციგურაოზე ასალი გამარჯვებისკენ. ეს იყო დადებული სანახაობა. შეიძლება სწორედ ასეთმა მკვეთრმა დასაწყისმა „შეანელო“ რბენის მეორე ნახევარი და სპორტსმენს თავისივე მსოფლიო რეკორდის (ინცივი, 14.55,9) გაუმჯობესების საშუალება არ მისცა (ყინულიც დარბილდა), მაგრამ მოპოვებული შედეგები — 15.01,35 — აღტაცებს იწვევს. 27 წლის პოლანდიელი გემარბიტად ყინულის ბილიკების მეფე გახდა. იგი მსოფლიოსა და ვერობის მრავალგზის ჩემპიონია. აქ მან ოქროს 3 მედალი მოიპოვა. ასეთი წარმატება წარსულში (თანაც შორეულ წარსულში) მხოლოდ ორ მოციგურავეს სვდა წილად.

მაკომანის საციგურაო მსოფლიო რბენის დასვენების 9 თებერვალს სელონურ ყინულზე გამოივლენ ქალები, რომლებიც 1500 მეტრზე შეჯიბრებიან ერთმანეთს.

## შვეიცარიელთა გამარჯვება

ენივას მთაზე სამთომოთხილამურებმა სწრაფდამგებში შეჯიბრება გამართეს. აქ წარმატება შვეიცარიელ სპორტსმენებს სვდათ.

ტრასის სიგრძეა 2636 მ (სიმაღლეთა სხვაობა — 772 მ). სისწრაფე, როგორც გამოთვლა შეიძლება, ზოგჯერ საათში 100 კილომეტრამდე აღწევდა.


## სამივე საფეხური

ერთადგილიანი ციგებით შეჯიბრების შემდეგ საბატიო კვარცხლბეგის სახივე საფეხური გდრ-ის სპორტსმენმა ქაულენმა დაიკავეს. ოქროს მედალი მიიღო ა.-მ. მიულერმა, ვერცხლისა — უ. რიუროლდმა, ბრინჯაოსი — მ. შუმიანმა.

საბჭოთა ქალებიდან, რომელთაც დებიუტი აქვთ ოლიმპიურ თამაშებში, საუკეთესო იყო მოსკოველი ნ. ნაშკოვა — XII ადგილი.

ა. სტაროლუბი, ი. ხრომოვი. (საკდების სპეც. კორ.).

საბჭოთა, 7 თებერვალი.



სურათზე: სწრაფდამგებში ოლიმპიური თქროს მედალს მფლობელი ბ. რუხსი ატარებს.

## ტექნიკური შედეგები

### 7 თებერვალი

- სწრაფდამგება. ვაუბი.
- 1. ბერნარ რუსი — 1.51,43. 2. როლან კოლომბენი (ორივე — შვეიცარია) — 1.52,07. 3. პანრიკ ნესნერი (ავსტრია) — 1.52,40. 4. ანდრეას შპრეპერი (შვეიცარია) — 1.53,11. 5. ერიკ ჰოკერი (ნორვეგია) — 1.53,16. 6. ვალტერ ტრემი (შვეიცარია) — 1.53,19.
- სათხილამურო რბოლა 15 კმ-ზე.
- 1. სეინ-ოკე ლუნდბეგი (შვეიცარია) — 45.28,24. 2. ფიოდორ სიმანოვი (სსრ კავშირი) — 46.00,84. 3. ივარ ფორმე (ნორვეგია) — 46.02,68. 4. იუსა მიეტო (ფინეთი) — 46.02,74. 5. იური სუბოვი (სსრ კავშირი) — 46.04,59. 6. აქსელ ლესერი (გდრ) — 46.17,01... 12. ვლადიმერ ვორონკოვი — 46.33,43. 16. ვალერი ტარაკასოვი (ორივე — სსრ კავშირი) — 46.48,32.



სურათზე: ფრანგი სპორტსმენები ბობსლების ტრასაზე. საკდების ტელეფოტო.

10000 მეტრზე ცოფურებით სწრაფრბენა.

- 1. არდ სხენკი — 15.01,35 (ოლიმპიური რეკორდი). 2. კეეს ფურკერკო (პოლანდია) — 15.04,70. 3. სტენსტენსენი (ნორვეგია) — 15.07,08. 4. იან ბოლსი (პოლანდია) — 15.17,99. 5. ვალერი ლაფრუჟინი (სსრ კავშირი) — 15.20,08 (საკავშირო რეკორდი). 6. ერან კლასონი (შვეიცარია) — 15.30,19.

## ...20 წლის შემდეგ

ოლიმპიადის გახსნის ცერემონიის რეპეტიციას შემდეგ მათურებელმა სტადიონზე შემოტანილ ერთ-ერთ ოლიმპიურ დროშაზე რგოლების განლაგებაში შეცდომა შეამჩნია. როგორც ცნობილია, სკოის წესდების მიხედვით, დროშაზე მარცხნიდან მარჯვნივ განლაგებული უნდა იყოს ციხფერი, ყვითელი, შავი, მწვანე და წითელი რგოლები. გამოირკვა, რომ ეს დროშა ტარზე „შეცდომით“ იყო დამაგრებული ჯერ კიდევ 1952 წელს ოსლოში და მას შემდეგ ყველა „თეთრ ოლიმპიადას“ ეხსრებოდა.

ამრიგად, შეცდომა აღმოაჩინეს... 20 წლის შემდეგ.

## სადომინგო კონტროლში

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სამედიცინო კომისიამ გამოაცხადა, რომ დაინტერესებული ფედერაციების წარმომადგენლებთან შეთანხმების შესაბამისად სპორტის ყველა სახეობაში (პოკეის გარდა) შეჯიბრების დამთავრების შემდეგ სადომინგო კონტროლი მოეწყობა. აუცილებლად შემოწმდებიან პირველთა ადგილზე გასული სპორტსმენები.

მოციგურავეთაგან და ბიატლონისტთა ინდივიდუალური რბოლის მონაწილეთაგან შემოწმდება პირველი ექვსეული, ამას გარდა, არჩევით კონტროლს გაივლის სამი სპორტსმენი, რომლებიც სატურნირო ცხრილის შუაში დაიკავებენ ადგილებს.

სამედიცინო კომისიამ გამოაცხადა, რომ ის მონაწილეთ, რომლებიც სადომინგო კონტროლზე უარს იტყვის, ავტომატურად იქნება დისკვალიფიცირებული.

## ოლიმპიური კალენდრისკოკი

შეჯიბრების დაწყებამდე სასტარტო ნომერს ჩემპიონის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, — აქვთ ოლიმპიურმა ჩემპიონმა სწრაფდამგებში, შვეიცარიელმა სამთომოთხილამურებმა ბერნარ რუსსიმ. — სამაგიეროდ, რბოლის შემდეგ, თუ გეგმა გიმტყუნა, ყოველთვის შეიძლება მარცხი კენჭისყრას დააბრალდო.

კარლ შრანცმა დისკვალიფიკაციის შემდეგ უარბოვი სარფიანი წინადადება მიიღო. ავსტრიის მთაბარი გაზვები მას სთხოვეს ოლიმპიადაზე სპეციალურ კორესპონდენტად დარჩეს. დასავლეთგერმანული ყოფილკვირეულები წინადადებას აძლიერეს, ჩემპიონის წიგნი დაწერიეს. როგორც იუპი-ს სააგენტო იუწყება, სამთობლოში დაბრუნების შემდეგ

შრანცს — ისეთ შეხვედრას მოუწყობენ, თითქოს საპორტში გამარჯვება მას დარჩენოდეს. თავად შრანცმა განაცხადა, რომ სამთოსათხილამურო სპორტში ვარჯიშს არ წყვეტს. მისი მიზანია უახლოეს დროში, ოლიმპიადის დამთავრებისთანავე, დაამარცხოს ოლიმპიური ჩემპიონი სწრაფდამგებში.

— არ მინდა ვთქვა, 10 ათას მეტრზე ოქროს მედალს მოვიგებ-მეთქი. სხვა მონაწილეები ნადავლად გაბრუნდებიან და უკვე ნამდვილად აღარ მიმტყუნებ გამარჯვების საშუალებას, — უთხრა არდ სხენკმა შურნალისტებს, რომელთაც 7 თებერვლის შეჯიბრებაში გამარჯვებულის წინასწარ დასახელება სთხოვეს.

— დაწერეთ უბრალოდ: მე ერთ-ერთი მედლის მონაწილე ვიქნები.

კანადელი პოკეისტები ოლიმპიურ თამაშებში არ მონაწილეობენ, მაგრამ პოკეის ფუფუნებელთა სკოლის გაგვინა მაინც იგრძნობა. საქმი ის არის, რომ შევიცისა და ამერიკის შეერთებული შტატების გუნდებს სწორედ კანადელები წვრთნიან. შედეგის მწკრივში კარგად მანისი თავის კლრზე პროფესიონალთა დარბეგში თამაშობდა, ამერიკელთა მოძღვარი მიურეი უილიამსონი კი ვინიპეგის გუნდების სახელით გაბოდიოდა.

— ორადგილიანი ბობსლებით შეჯიბრებაში ტრასის რეკორდი, რომლის ავტორებიც ვერის წევრები პორტ ფლოტი და პეპი ბალერი არიან, არასოდეს გაუშვებდებოდა. საქმი ისაა, რომ იაპონელებმა გადაწყვიტეს ოლიმპიადის დამთავრების შემდეგ გააუქმონ ტრასა, რომელიც, მათი აზრით, ტინეს მთის ხედს აფუჭებს.

„საინ სიტე კუდასაი“ — ოლიმპიური თამაშების მონაწილეებს ყველაზე ხშირად ეს იაპონური სიტყვები ესმით. თარგმანი ნიშნავს: „თუ შეიძლება, მოვეცით ავტოგრაფი“.

საქმარისია რომელიმე მონაწილეთ ან ოფიციალური პირი ოლიმპიურ სოფელს გასცდეს, რომ ათობით ბლოკნოტმონარეგებულ იმოსწავლე მყისვე გარს შემოხვებოდა. იაპონელ მოსწა-

ვლებს ახლა გაუთვალისწინებელი არადდეგები აქვთ და მთელი დღეების მანძილზე ოლიმპიური „ცენტრების“ ირგვლივ ტრიბუნებზე ავტოგრაფების მოყვარულებს თავიანთი ლიდერებიც აქვთ. — 12 წლის გოგონა კასუე ტანაკა. მან უკვე 3 ბლოკნოტი შეაჯსო და 123 ხელმოწერა აქვს. კასუე ამაყად ურევნა შურნალისტებს, რომ უკვე ჩაიგდო ხელში „მელონის“ ავტოგრაფი, მაგრამ „მთაბარია ნეპელას ხელმოწერა“. ნეპელას იაპონელი გოგონა მსოფლიოს საუკეთესო ფიგურისტად თვლის. საერთოდ, ტანაკას განზრახული აქვს თამაშების ყველა მონაწილეს სთხოვოს ავტოგრაფი. ალბათ ავიწყდება, რომ საპორტში 1300 სპორტსმენი გამოდის.



# ქართული ფალაშხის უსაი მოსაკლერი

თრი გოლიათი თავგანწირვით ებრძოდა ერთმანეთს გამარჯვებისთვის. მათგან უფრო მძიმე ცოტა ერთფეროვნად მოქმედებდა, ეტყობა, თავისი ძალის იმედი ჰქონდა, მაგრამ მისი ვარაუდი არ გამართლდა. შედარებით გამსდარი და უფრო დაკუნთული მოჭიდავე იმ მომენტს ელოდა, როცა მეტოქეს ბოლოს და ბოლოს ჰაზვი გამოეყოფოდა და მერე უფრო ითლი იქნებოდა მისი დაჯანა. ასეც მოხდა: შეხვედრის ბოლო 3 წუთი სწორედ ძალაშემონახულის უპირატესობით წარმოიშობა. მან ერთ მომენტში ისეთი ილეთი გაუკეთა მოწინააღმდეგეს, რომ ეს უკანასკნელი ძლივს გადაურჩა წინადაცა და მერე მეტოქეს 2 ქულა დაწინაურების საშუალება მისცა, რამაც გადაწყვიტა კიდევ შეეცაინებინა.

თბილისის სპორტის სასახლეს თითქოს ქარიშხალმა გადაურა, ათასობით მიყვარული ტანს უკრავდა მძიმე წონის ფალაშხის შორის გამარჯვებული ნ. მოღვაძის პატივსაცემად. მართლაც, ნოდარმა ტაქტიკურად სწორად წარმართა ბრძოლა მასზე გაცილებით მძიმე ვ. პარმუკოვთან (სიკტივკარი), გამუდმებული იერიშებით დაძალა მეტოქე და შემდეგ გამარჯვებისთვის საჭირო 2 ქულაც აართვა. ეს ბრძოლა ასე დაწვრილებით იმითაც აღვწერეთ, რომ მოღვაძის წარმატება მოულოდნელი არა, მაგრამ ძალიან გასახარებელი იყო. საქმე ისაა, რომ მძიმე წონის ათლეტთა შერევისას ჩვენ თითქოს შევეგუეთ მათს დუნე, უინტერესო მოქმედებას, მოღვაძემ კი ეს თითქოსდა დაკანონებული ტრადიცია დაარსდა — მოქმედებდა დიდი მონადირეობით, სწრაფად და სანტიმეტრულად.

თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა თბილისის საერთაშორისო ტურნირში მოღვაძის გარდა კიდევ სამი ქართველი ფალაშხი ავიდა საპატიო პარა-ცხლებების უმაღლეს საფეხურზე. ესენი იყვნენ თ. მიქელაძე (52 კგ), ზ. ბერიაშვილი (74 კგ) და ლ. თედიაშვილი (82 კგ).

## თავისუფალი სტილის მრეხვედრის საერთაშორისო ტურნირი მ. გალავაძის სახელობის პრიზი

52 კგ წონის მოჭიდავეთა ტურნირში 15 ათლეტი გამოდიოდა. მიუხედავად იმისა, რომ მიქელაძემ პირველი შეხვედრა წააგო, მომდევნო ორთაბრძოლებში ქულებით სძლია ს. ბაქუსს (მოხლოეთი), ვ. ჟღერეკოვს (მინსკი), ხოლო 7 წუთსა და 20 წამში წმინდად მოუფო ალმათელ ა. ივანოვს.

მეორე ქვესაშუალო წონაში ზ. ბერი-აშვილმა 5 შეხვედრა ჩაატარა. ბულგარელი ა. პეტროვისა და მოსკოველი ნ. ჟურულის გარდა მან დაამარცხა ბ. ფომინენკო (ლენინგრადი), ვ. ზილბერმანი (მინსკი), ვ. დედეკაძე (ორჯონიძე), რამაც პირველობა მოუტანა. ბერიაშვილს გადაეცა ვ. ბალავაძის სახელობის პრიზი, რომელიც მას თვით ცნობილმა ფალაშხმა ჩააბარა (როგორც ცნობილია, ბალავაძემ ამ წონის კატეგორიაში გამოდიოდა).

ფინალური შეხვედრების სანახავედ გუმინწინ საღამოს ბევრი მაყურებელი თედიაშვილის გულსთვის მოვიდა. ჭიდაობის ასობით მოყვარული ჩამოვიდა ფალაშხის მშობლიური რაიონიდან — საგარეოდან. ეს ინტერესი იმით იყო გამოწვეული, რომ ლევალი თავის ძველ მეტოქეს პ. შტოტმაისტერს (გდრ) ხვდებოდა და მათს ჭიდავს უნდა გადაეწყვიტა I ადგილის ბედი. მანამდე თედიაშვილმა ქულებით დაამარცხა ვ. იორვა (რუმინეთი), 2 წუთსა და 40 წამში ხალიჩაზე ბეჭებით გააგრა ი. აბიოვი (ბულგარეთი), შემდეგ ქულებით სძლია ამ უკანასკნელს თანამემამულე მ. ლუიფიევს, ხოლო ლენინგრადელ ვ. ნოვოვილოვთან შეხვედრა ფრედ დაამთავრა.

და ბი, ყველა ელოდა თედიაშვილისა და შტოტმაისტერის ჭიდაობას. მართალია, ორივე სპორტსმენი ხალიჩაზე გამოვიდა, მაგრამ შეხვედრა არ შედგა: სტუმარმა უქეიფოდ იგრძნო თავი და ჭიდაობაზე უარი თქვა. გამარჯვება თედიაშვილს დარჩა.

ფინალური შეხვედრის წინ აშკარა გახდა, რომ პირველ საშუალო წონაში თედიაშვილსა და შტოტმაისტერს ტოლი არ ჰყავდათ. მათს შეხვედრას უნდა დაესასრულებინა გამარჯვებული. ჩვენ ვესაუბრეთ შტოტმაისტერს, გვიანტერესებდა, რა აზრის იყო თავის მონაგალ მეტოქეზე. მან თქვა, რომ თედიაშვილი სოფლის შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონატში გაიცნო. მაშინაც მათს ორთაბრძოლას უნდა გაერევიდა მსოფლიო ჩემპიონობის საკითხი.

— თქვენმა თანამემამულემ ნამდვილად დამჯანა, — განაცხადა შტოტმაისტერმა, — ძლივს გადაურჩი წმინდად წაგებას, თუმცა ქულებში სხვაობა თვალსაჩინო იყო უკვე მსოფლიო ჩემპიონის სასარგებლოდ — 6:2.

უმაჩუქე წონაში თავიდანვე დაწინაურდა ბაქოელი რ. გაჯიევი, რომელმაც 3 წუთსა და 4 წამში მოიგო, ფინალში შეხვედა მონგოლ ვ. ოჩერლოვს და ისიც დაამარცხა.

ქვესაშუალო წონაში ბადალი არ ჰყავდა კიევში ი. კულეშოვს, რომელმაც ხუთივე შეხვედრა მოიგო (აქედან ორი წმინდად და დანარჩენი — ქულებით).

მსუბუქე წონაში I ადგილის ბედი რ. პლიევისა (ორჯონიძე) და გ. ძახსორის (ტაშკენტი) ორთაბრძოლას უნდა გადაეწყვიტა. ორივე სპორტსმენს 4-4 გამარჯვება ჰქონდა. ეს შეხვედრა ფრედ დამთავრდა. რადგან პლიევის საყარბო ქულათა ნაკლები რაოდენობა აღმოჩნდა, პირველობაც მას ხვდა წილად. პლიევის ცნობილი ქართველი ფალაშხის ვ. რუბაშვილის მსოფლის თასი გადასცა გორის ფიჭულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე ვ. კოშკაძემ.

პირველ ქვესაშუალო წონაში ფინალისკენ წარმატებით მიიწვედნენ სსრ კავშირის ჩემპიონი, მახაჩყალელი ნ. ნასრულაევი, ამერიკის შვედებულები შტატების მრავალჯანსა და მსოფლიო

ჩემპიონი დ. გეიბლი და ქართველი სპორტსმენი ნ. ხონაშვილი. ქართველმა მოჭიდავემ ორივე მეტოქესთან წააგო. I ადგილისთვის ბრძოლაში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ნასრულაევი და გეიბლი. მახაჩყალელი მოჭიდავე ფიჭვივრად ძლიერი ჩანდა ამერიკელთან შედარებით, მაგრამ ამ უკანასკნელმა მაღალი ტაქტიკური და ტექნიკური მომზადება გამოავლინა, საკმაო უპირატესობით სძლია მეტოქეს.

მეორე საშუალო წონაში საქართველოს სამი წარმომადგენელი იბრძოდა — შ. პაპაშვილი, ვ. მარშანია და მ. ცნობილაძე. ყველაზე უკეთესი იყო მარშანია, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონ ვ. სტრახოვი (მოსკოვი) და მარცხების შემდეგ ოთხი გამარჯვება მოიპოვა — რ. ჰელიქსონთან (აშშ), მ. კურჩესკისთან (პოლონეთი), ა. პრუკოპჩუკთან (მოსკოვის ოლქი) და თედიაშვილთან (მახაჩყალთან). მაგრამ სტრახოვთან მარცხმა იგი პრიზიორთა მიღება დატოვა.

კიევში ვ. გულიუტკინთან ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ ქუთაისელმა ათლეტმა რ. მოსევილმა სუსტად ჩაატარა მომდევნო შეხვედრები: ქულებით წააგო ი. იარიჩინთან (კრასნოიარსკი), ვ. კაპოშკინთან (სალავათი), და ასპარეზობას გამოეთიშა. ამ წონის კატეგორიაში ფინალში გავიდნენ კაპოშკინი და გულიუტკინი, რომელთა ორთაბრძოლაში გაიმარჯვა პირველმა.

ზ. ჯანდირი.

სურათზე: სპორტის დასახურებული ოსტატი ვ. ბალავაძე თავის სახელობის პრიზს გადასცემს ზ. ბერიაშვილს.

მ. ზარგარაიანის ფოტო.

## პრიზიორები

- 48 კგ. 1. რ. გაჯიევი (ბაქო), 2. ვ. ოჩერლოვონი (მონგოლეთი), 3. ხ. ისოვი (ბულგარეთი).
  - 52 კგ. 1. თ. მიქელაძე (თბილისი), 2. ა. ტოსინოვი (იაპონია), 3. ნ. მინჩევი (ბულგარეთი).
  - 57 კგ. 1. ი. კულეშოვი (კიევი), 2. ზ. შედიცკი (პოლონეთი), 3. დ. კელერი (აშშ).
  - 62 კგ. 1. რ. პლიევი (ორჯონიძე), 2. რ. მომჩილოვი (ბულგარეთი), 3. პ. კოშანი (რუმინეთი).
  - 68 კგ. 1. დ. გეიბლი (აშშ), 2. ნ. ნასრულაევი (მახაჩყალა), 3. უ. შრედერი (გდრ).
  - 74 კგ. 1. ზ. ბერიაშვილი (თბილისი), 2. ლ. ამბრუში (რუმინეთი), 3. მ. ვალეგო (აშშ).
  - 82 კგ. 1. ლ. თედიაშვილი (თბილისი), 2. პ. შტოტმაისტერი (გდრ), 3. მ. ლუიფიევი (ბულგარეთი).
  - 90 კგ. 1. გ. სტრახოვი (მოსკოვი), 2. რ. ჰელიქსონი (აშშ), 3. რ. ახმედოვი (ბულგარეთი).
  - 100 კგ. 1. ვ. კაპოშკინი (სალავათი), 2. ხ. ბაიანმუხი (მონგოლეთი), 3. ხ. დიდრიკი (აშშ).
- მძიმე. 1. ნ. მოღვაძე (თბილისი), 2. ვ. გერმერი (გდრ), 3. ხ. ბოევი (ბულგარეთი).

## მეგობრული შარხები



დ. გიბალი




ლ. თედიაშვილი



ნ. მოღვაძე


გ. დირცხალავას ნახატები.



## სსრ კავშირის პირველობა

## მინიმალური ანგარიშით

კვირის ადგილობრივ არმიულთან საკავშირო ჩემპიონატის ბიწველი წრის ბოლო მატჩი გამართეს თბილისის დინამოელებმა. დაძაბულ ბრძოლაში მათ მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვეს — 67:66.



## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 1 თებერვლისთვის

|                          | თ. | მ. | წ. | ბ.      | გ. |
|--------------------------|----|----|----|---------|----|
| „სპარტაკი“ (ლენინგრადი)  | 9  | 9  | 0  | 653—571 | 9  |
| ცსკა                     | 9  | 8  | 1  | 772—604 | 8  |
| „ალაშვი“ (ტარტუ)         | 8  | 5  | 3  | 592—576 | 5  |
| „შალვირისი“ (კაუნასი)    | 10 | 5  | 5  | 776—751 | 5  |
| „სტროიტელი“ (კიევი)      | 8  | 4  | 4  | 576—531 | 4  |
| „დინამო“ (თბილისი)       | 9  | 4  | 5  | 647—709 | 4  |
| „დინამო“ (მოსკოვი)       | 8  | 4  | 4  | 627—620 | 4  |
| ბსკ (კიევი)              | 9  | 3  | 6  | 608—668 | 3  |
| „ბურევესტნიკი“ (თბილისი) | 8  | 2  | 6  | 535—594 | 2  |
| „სტატიზა“ (ვილნიუსი)     | 10 | 0  | 10 | 676—848 | 0  |

## თეატრალის კალენდარი

გთავაზობთ კალატურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის თებერვლის გათამაშების კალენდარს.

8. „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — „ჟალგირისი“ (კაუნასი), 10. „სპარტაკი“ — „კალევი“ (ტარტუ), „დინამო“ (მოსკოვი) — ცსკა, ასკ (კიევი) — „სტროიტელი“ (კიევი), „დინამო“ (თბილისი) — „ბურევესტნიკი“ (თბილისი), 12. „დინამო“ (თბილისი) — „ჟალგირისი“, 13. ცსკა — ასკ, 14. „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „ჟალგირისი“, 15. ცსკა — „სტროიტელი“, 16. „დინამო“ (მოსკოვი) — ასკ, „კალევი“ — „სტატიზა“ (ვილნიუსი), „დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი), 18. „დინამო“ (მოსკოვი) — „სტროიტელი“, „კალევი“ — „ჟალგირისი“, „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი), 20. „სტატიზა“ (ლენინგრადი), 20. „სტატიზა“ — ასკ, 21. „დინამო“ (თბილისი) — „კალევი“, 22. „ჟალგირისი“ — ასკ, „სტატიზა“ — „სტროიტელი“, 23. „სპარტაკი“ — ცსკა, 24. „ჟალგირისი“ — „სტროიტელი“, „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „კალევი“, 25. „დინამო“ (თბილისი) — „სტატიზა“, 27. „სპარტაკი“ — „დინამო“ (მოსკოვი), „კალევი“ — ცსკა, „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „სტატიზა“, 29. „სპარტაკი“ — „სტატიზა“.

## ხელბურთი

## პარბუ ითაგაშუს

სტუდენტთა ზამთრის არდადეგებზე სვერდლოვსკში ხელბურთელმა ვაჟებმა „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობა გაითამაშეს. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო თბილისის გუნდმა და II ადგილი დაიკავა. თბილისელმა ხელბურთელმა თავდაპირველად დაამარცხეს ორი ოლიმპიური მეტოქე — კრასნოდარის „უნივერსიტეტი“ — 20:17 (10:4) და მოსკოვის საჯიბო ინსტიტუტის გუნდი — 22:19 (12:10).

ამის მერე ჩვენებმა ორი შეხვედრა ფრედ დამთავრეს: ზაპოროჟიის მეტალურგიული ინსტიტუტის გუნდთან — 15:15, და ტაშკენტის კოლმეტიკონთან — 22:22. აღსანიშნავია, რომ ზაპოროჟიელთან შეხვედრაში პირველი ტაიმი თბილისელებმა დიდი სხვაობით წააგეს (6:11), მაგრამ შეხვედრის შემდეგ შეძლეს ძალების მობილიზება, თითქმის უშეცდომოდ ითამაშეს დეცავში და ფრეს მიაღწიეს. ასე-

თივე ამბავი მოხდა ტაშკენტის გუნდთანაც. თბილისელებმა ტაიმი აქაც დათმეს — 7:12.

ბოლო მატჩი თბილისელებმა წაიგეს მინსკის ხელბურთელთან — 27:25 (10:9). ქულათა დაჯამებისას ზაპოროჟიელებს თბილისელებზე უკეთესი შედეგები აღმოაჩნდათ და მათ I ადგილი დაიკავეს.

III ადგილზე ტაშკენტელები გავიდნენ.

ამ ტურნირში დაწესებული იყო სამი პრიზი. ერთ-ერთი — შეჯიბრების საუკეთესო თავდამსხმელისთვის გაჩუთვნილი ჯილდო — მიიღო თბილისელი ჯ. ცერცვაძემ. საუკეთესო მეკარის პრიზი ხვდა ზაპოროჟიელ ვ. იშენკოს, საუკეთესო მცველის — ტაშკენტელ ვ. აბდურახმანოვს.

# ამაგი დაუფასდა

ეროვნული

გასულ სეზონის თბილისის მახლობლის სასაზღვრო სპორტის ზეგნა გულშემატკივარმა მოიყარა თავი. აქ იყვნენ რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების წარმომადგენლები, გამორჩეული მწვრთნელები, სახელმწიფო პილი სპორტსმენები, რომლებმაც საუბრობითი ფორმით, გულთადად აღნიშნეს სსრ კავშირისა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის მიხეილ თიანათის დაბადების 65 და

სპორტული მოღვაწეობის 45 წელი. საიუბილეო ხსენება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე გ. სისარულიძემ. ქართული სპორტის ამაღლარის ცხოვრებისა და სპორტული მოღვაწეობის შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ

მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. შხვადაბაიამ. იუბილარს მიესალმნენ, პირად ცხოვრებასა და შრომით საქმიანობაში წარმატებები უსურვეს სპორტის დამსახურებულმა სტატეგმა გ. მერკვილაძემ და ნ. დუმბაძემ, საკავშირო სპორტკომიტეტის წარმომადგენელმა ა. ლენცმა, ჭიდაობის საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარე ა. კატულინიამ, სსრ კავშირის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრები გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ბ. რიბალომ, მოსკოვის ჭიდაობის ფედერაციის თავმჯდომარემ ფ. მარტინოვმა, უკრაინის მოჭიდავეთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა, სპორტის დამსახურებულმა სტატეგმა ა. იალტირინამ, „კულ-

ტურისა“ და „განთავისუფლებული“ საბჭოთაო სპორტის ფუნქციონარები და ი. ბოჭორიძემ, ბულთურების, სომხეთის, მოლდავეთის, საქართველოს ქალაქებისა და რაიონების სპორტული საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა, სპორტსმენებმა. დასასრულ მ. თიანათემ წალოცა გადაუხადა საქართველოს სპორტული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, მწვრთნელებს, სპორტსმენებს, სტუმრებს მისი სპორტული მოღვაწეობის ასეთი დაფასებისთვის.

## მეტრეველის კიდე ერთი წარმატება

ბანბარბ, 6 თებერვალი. სსრ კავშირის ჩემპიონმა, თბილისელმა ჩოგბურთელმა ა. მეტრეველმა „მწვანე კონტინენტზე“ თავის ტურნეში კიდევ ერთ წარმატებას მიაღწია: დღეს დასავლეთ ავსტრალიის ჩემპიონის სახელი (ზედიზედ მეორედ) მოიხვეჭა ვაჟთა ერთეულებში თანრიგში. ფინალში თბილისელმა სძლია ცნობილ ავსტრალიელ ჩოგბურთელს ჯ. კუპერს — 6:2, 6:4, 6:1.

ქალთა შორის საუკეთესო იყო ავსტრალიელი ი. გულაგონგი. უიმბლდონის ჩემპიონმა ვადაშვიტმა მატჩში სძლია სსრ კავშირის ჩემპიონს, მოსკოველ ი. მოროზოვს — 6:2, 7:5. გულაგონგი ამ შტატის ჩემპიონი პირველად გახდა

## ლიტვაში შეუჩინეს

სსრ კავშირის ახალგაზრდა მოჭადრაკე სტატეგ ვაჟთა ჩემპიონატში, რომელიც რიგში მიმდინარეობს, შაღვა VI და VII ტურები.

VI ტურში პირველი მარცხი იწვნის ლიეტუველი ვ. კუპრეიჩიკა (მინსკი) და ვ. პერესიკინა (კიევი). მ. პოდგაეცმა (თელსა) კარგად გამოიყენა კუპრეიჩიკის პოზიციური შეცდომები და გაიმარჯვა. ი. ანიკაევმა (ნოვოკუზნეცკი) კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ნიმფოვის დაცვის ის სადებიუტო ვარიანტი, რომელიც პერესიკინამ გაითამაშა, უარგისია.

VII ტურში კუპრეიჩიკი შეხვდა ანიკაევს, რომელმაც მანამდე შედიხდ სამი შეხვედრა მოიგო. ამჯერად მეტო-

ქენი ყაიმით დაკმაყოფილდნენ. პოდგაეციც ყაიმის დასჯერდა გ. ლერნერთან (თელსა).

თბილისელმა სტატეგმა თ. გიორგაძემ VI ტურში ყაიმით დაამთავრა პარტია ალმათელ მ. მუსინთან. VII ტურში მან აგრესიულად შეუტია ტაშკენტელი რ. რუდერფერის პოზიციას. იერში უსაფუძვლო აღმოჩნდა და ტაშკენტელმა გაიმარჯვა მძლავრი კონტრამაშით.

7 ტურის შემდეგ ვ. კუპრეიჩიკის და ი. ანიკაევს 5,5-5,5 ქულა აქვთ. მ. პოდგაეცს — 5.

თ. გიორგაძეს 2,5 ქულა და 1 გადაღებული პარტია აქვს.

## 125 ს 3 ლ ა შ ი

სამტრედიამი მიმდინარეობს საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატის ნახევარფინალი. 6 ტურის შემდეგ ლიდერობენ გ. შოგიაძე (ზუგდიდი) — 5,5 ქულა, ა. რაზოვსკი (ქუთაისი), მ. არჩვაძე (სამტრედიო), ა. ტუზოვსკი (აფხაზეთი) — 5-5 და რ. კაპანაძე (წყალტუბო) — 4,5.

VII ტურში არჩვაძემ გ. პეტიტესთან (წყალტუბო) დიდი ბრძოლა გააღიჭა. სამტრედიელმა მოჭადრაკემ მეტოქის მძაფრი წინააღმდეგობის დაძლევის და გამარჯვებას თითქმის 8 საათი მოანდომა. ამ დროის მანძილზე 125 სელო გაქვდა.

წარმატებით ითამაშეს დანარჩენმა ლიდერებმა: შოგიაძემ მოუგო ი. დოლიძეს (გორი), რაზოვსკიმ — მ. ნოდარს (ცხაჯავა), ტუზოვსკიმ — გ. ჯალალნიძეს (გეგეჭკორი), კაპანაძემ — ა. მაჩიტაძეს (სამტრედიო).

რ. შანიძე (სამტრედიო) დამარცხდა ლ. ნურბოგოვთან (ბათუმი), ხოლო თ. ვახოკიძე (ბაზა) — რ. კეპეშაძესთან (მანარაძე).

**5. სოროკინი,** ნახევარფინალის მთავარი არბიტრი, საკავშირო კატეგორიის მსახი, სპორტის ოსტატი. (ჩენი სპეც. კორ.). სამტრედიო.

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრომ საპროსო ოლიმპიური თამაშებისთვის გამოუშვა ეს სერია, რომელშიც ხუთი ფერადი საფოსტო მარკა შედის. მარკების ღირებულებაა 4, 6, 10, 12 და 16 კაპიკი. ისინი ეძღვნება ციგურაობას, ფიგურულ ციგურაობას, მოკეის, ტრამპლინიდან ხტოვას და სათხილამურო რბოლას. ყოველ მარკაზე გამოსახულია ტრადიციული ოლიმპიური ემბლემა ხუთი რგოლით და აქვს წარწერა — „საპრო-72“.



## „ტყავის ბურთი - 72“

საკავშირო ალკ ცენტრალურ კომიტეტში შედგა „ტყავის ბურთის“ კლუბის ცენტრალური შტაბის მორიგი სხდომა.

საკავშირო გათამაშების, ზონალური და ფინალური თამაშების ორგანიზაციის დებულება ბავშვთა და მოზარდთა გუნდებისთვის. დამსწრეებს გააცნო „ტყავის ბურთის“ კლუბის თავმჯდომარემ, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა მ. სუშკოვმა.

რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯმა ს. სალმანმა ილაპარაკა მსაჯთა მოსამზადებელი სემინარების პროგრამაზე (იმსაჯებენ ბავშვები და მოზარდები), საზოგადოებრივ მწვრთნელთა მომზადებაზე, აგრეთვე, საორგანიზაციო-მეთოდურ რეკომენდაციებზე „ტყავის ბურთის“ კლუბებისთვის ადგილებზე სამუშაოდ.

შევირება ჩატარდება ორ ასაკობრივ კატეგორიად: 11-12 წლის ბიჭები და 13-14 წლის მოზარდები. მასში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საცხოვრებელი ადგილების მიხედვით ორგანიზებულ გუნდებს, სადაც გაერთიანდებიან მხოლოდ ერთი სახლმართველობის, საცხოვრებელ-საეკსპლუატაციო კონტორის, ეზოს, სოფლის ბავშვები.

ბავშვებისთვის თამაშების ფორმულაა 2 ტაიმი, თითოეული 20 წუთის ხანგრძლივობით და 10-წუთიანი შესვენებით. მოზარდთათვის ტაიმის ხანგრძლივობაა 25 წუთს უდრის. ნებადართულია მოთამაშეთა განუსაზღვრელი და განმეორებითი შეცვლა.

საკავშირო ფინალური ტურნირები ჩატარდება 13-25 აგვისტოს ლვოვში (ბიჭებისთვის) და კრასნოდარში (მოზარდთათვის). გათამაშებაში დაიშვებიან მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდები, აგრეთვე, რსფსრ-ს ზონალურ შეჯიბრებებში გამარჯვებულნი.

რიდაქტორი მ. პაპაზაძე

**თბილისი სპორტული ბაზა**

შაშის ცენტრალური საჭადრაკო კლუბი (რუსთაველის პრ. 48). 8-12 თებერვალი საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი ასურჩიან შაშში. დასაწყისი 16 ს. 9 თებერვალი. ოსტატობის კანდიდატ ვ. ინწიკოვლის ლექცია „ა. ანდრეიკა — ი. კუპრეიჩიკის მატჩი მსოფლიო პირველობაზე“, ერთდროული თამაშის სეანსი. დასაწყისი 19 ს. შალბაძე. ცენტრალური საჭადრაკო კლუბი (რუსთაველის პრ. 48). 8-17 თებერვალი. საქართველოს ოლიმპიური გუნდის კანდიდატ ვაჟთა, ქალთა და ქაბუთა ტურნირები. დასაწყისი 17 ს.

## სსრ კავშირი

**მოსკოვი, 5 თებერვალი.** იაროსლაველმა მძლეოსანმა გ. დიტიჩინამ ძეხვი ზნაშენსკის სახელობის მინერის რეკორტის ბილიტზე 60 მეტრზე თარგბენში წლებადელი ზამთრის საუკეთესო შედეგს მიაღწია სსრ კავშირის დარბაზებისთვის — 7,4 წამი. ასეთვე წარმატება მოიპოვა 5 კილომეტრზე რბენაში ალმათელმა ვ. შპარმა — 14,134. ლენინგრადელმა ბ. პაშულიძემ ზამთრის სეზონის საუკეთესო შედეგი გაიმყარა 110 მეტრზე თარგბენში — 14,0. ეს შედეგები „ლოკომოტივის“ მძლეოსანთა საკავშირო შეჯიბრებაში იქნა ნაჩვენები.

**ტურინში, 5 თებერვალი.** კანადის ამ ქალაქის მანგში დიდი ინტერესი გამოიწვია მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებამ. განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა სიმაღლეზე მსტომელ ვაჟთა ასპარეზობა. 213 სმ გადასახსნ ამერიკელმა რ. ბრაუნმა და სსრ კავშირის ჩემპიონმა, ბერლინელებმა რ. ანმეტოვმა. დღების მიხედვით პირველობა ამერიკელს დარჩა. ვეროლის ჩემპიონი, კიეველი ვ. ბორზუვი 50 იარღზე რბენაში მხოლოდ მეხუთე აღმოჩნდა. თუმცა ითხი მონაწილე — ამერიკელი მ. პენდერი, უ. ელმონსონი, ბერტინი პაპაგეორგოპულოსი და ბორსოვი ფოტოფინში გაიანწილა — მათ ერთნაირი დრო (5,2) შეინდოთ. გამარჯვებულმა ამერიკელმა ბ. ვაშინგტონმა მსოფლიოს უმაღლესი მიღწევა გაიმყარა — 5,0. ქალთა შორის ამ მანძილზე რბენაში ახალი მსოფლიო მიღწევა გაიმყარა ვაშინგტონის თანამემამულემ, 21 წლის ბ. ჯონსონმა — 6,5. ასევე სინტერესო იყო ჭოკით მსტომელთა შეჯიბრება. ყველას ავობა ეტობილმა შედეგმა რ. ირაქსონმა — 519 სმ. მსოფლიო რეკორდსმენი ხ. პაპანიკოლაუ (საბერძნეთი) მხოლოდ მეხუთე იყო — 503 სმ.

**ფორტ-უორტი (ტეხასი), 5 თებერვალი.** ორი უძლიერესი ამერიკელი ბირთვის მკერდის ო. ფოიერბახისა და მსოფლიო რეკორდსმენის, ოლიმპიური ჩემპიონის რ. მათსონის მორიგი ორთაბრძოლა ფოიერბახის წარმატებით აღიზნა. მას სულ ცოტა დააკლდა დარბაზებისთვის თავისივე მსოფლიო რეკორდამდე — 20,87 მეტრზე ჰერა ბირთვი. მათსონის შედეგია 20,38 მ.

**პაზარჯიკი, 6 თებერვალი.** ბულგარეთში სტუმრად მყოფმა მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდმა აქ ამხანაგურ მატჩში ანგარიშით 3:1 (3:1) დაამარცხა ადგილობრივი „მარცა“. მოსკოველთაგან ბურთები გაიტანეს ბაიდანინი, მახოვიკოვა და ვერშკოვიჩი. 8 თებერვალს „დინამო“ პლოვდივში თამაშობს, 12 და 15 თებერვალს — სოფიაში.

**სოფი, 6 თებერვალი.** აქ გაიმართა ერენის „არარატისა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა გუნდების საკონტროლო მატჩი. მეტოქეებმა ვერც ერთი ბურთი ვერ გაიტანეს — 0:0.

**მოსკოვი, 6 თებერვალი.** „სპარტაკის“ მძლეოსანთა ზამთრის საკავშირო შეჯიბრებაში 16 წლის ტამბოველმა ვ. მატვეევმა სენსაციურ გამარჯვებას მიაღწია სიგრძეზე სტომაში (742 სმ) — მან სსრ კავშირის ექს-ჩემპიონს, რესტრეველ ვ. სიბენკოს (735 სმ) აჯობა. 600 მეტრზე რბენაში დარბაზებისთვის ახალი საკავშირო მიღწევა დამყარა მოსკოველმა გ. ჩერნიშოვმა — 1,18,9. მსოფლიო რეკორდსმენმა ბირთვის კერამი, ლენინგრადელმა ნ. ჩიჟოვამ წლეულს მითლს მსოფლიოში ყველაზე შორს გაგზავნა ეს იარაღი — 18,55 მ. 100 მეტრზე თარგბენში კრასნოდარელმა ვ. პოტინიკოვამ საბჭოთა მძლეოსანთაგან პირველმა „დააღწია თავი“ 14-წამიან ზღვარს — 13,9. ლენინგრადელმა ი. ტარმაკმა გაიმყარა დარბაზებისთვის წლებადელი სეზონის სწვეტის შედეგი სიმაღლეზე სტომაში — 217 სმ.

**ბალინი, 6 თებერვალი.** ასურჩიან შაშში მსოფლიო პირველობაზე ა. ანდრეიკა (რიგა) — ი. კუპრეიჩიკის (კიევი) მატჩის XII პარტიაც ყაიმით დამთავრდა. ანგარიშია 6:6.

**დონეცი, 6 თებერვალი.** სტუდენტთა ზამთრის საკავშირო შეჯიბრებაში ლენინგრადელმა ვ. ვოიკინმა 20,18 მეტრზე ჰერა ბირთვი, რაც დარბაზებისთვის მისსავე საკავშირო რეკორდს აღემატება.